

ვიქტორია იაშკინა

ოლეს ჰონჩარის სახელობის

დნეპროპეტროვსკის სახელმწიფო უნივერსიტეტი

გაგრძელება თემისა პოეტური ტექსტის გაგება მისი მულტილინგვალური ვარიანტის შედარებითი ანალიზის მიხედვით

აბსტრაქტი

პოეზიაში რითმა პირდაპირ გავლენას ახდენს მსმენელზე. პოეზიაში რითმა ხელს უწყობს რითმის სიმბოლოკის ჩამოყალიბებასა და განვითარებას ტექსტში. რითმა ყოველთვის იყო მეცნიერული ინტერესის საგანი. რითმის შესახებ, წარსულიდან მოყოლებული, მეცნიერული ინტერესი და პოლემიკა არ წყდება ლინგვისტებსა და ლიტერატურის თეორეტიკოსებს შორის. კავშირი ფონეტიკურ აღმნიშვნელსა და მის სემანტიკურ მნიშვნელობას შორის ამ დრომდე რჩება გარკვევისა და უფრო ზუსტი განსაზღვრის საგნად. ყველა, ვინც ცდილობდა, ეპოვა კავშირი ფორმალურსა და აზრობრივს შორის, იყენებდა სწავლებისათვის დამახასიათებელ სტილისტურ ხერხებს პოეტური ტექსტების გასართმად. ასეთი ხერხებია, მაგალითად, პატრონიმის მიზიდულობა, შესაბამისობა და პოეტური ეტიმოლოგია. ბოლოდროინდელი კვლევების ანგარიშებში განსაზღვრულია, რომ აღნიშნული სტილისტური ხერხები მის წინამორბედ საშუალებებთან შედარებით წინა პლანზეა გადმოწეული, რომელსაც პოეტები ფართოდ იყენებენ. მოგვიანებით ჩატარებული კვლევა აჩვენებს, რომ ქვეცნობიერს ასევე დიდი მნიშვნელობა ენიჭება, რადგანაც ხელოვნების ზეგავლენა დიდია წარმოსახვის ფორმირების გზებსა და უნარებზე. ამ თვალსაზრისით, სრული თანხვედრა რითმასა და მის სემანტიკურ მნიშვნელობას შორის შეიძლება წარმოდგენილ იქნეს მონოლინგვურ პოეტიკურ მაგალითში. ამ სტატიის მიზანია, იპოვოს ყველა ის რგოლი, რომელიც აერთიანებს უნივერსალურ პოეტიკას მულტილინგვურ თარგმანებში.

საკვანძო სიტყვები: მულტილინგვური თარგმანები, პოეზია, პოეტური მეტყველება, ინსტრუმენტირება, რითმის სიმბოლიკა.

შესავალი

უწყვეტი კავშირია პოეტურ „რიტმის ხატვასა“ და მის მნიშვნელობას შორის. სიტყვებისა და სურათების ერთიანობა

უზრუნველყოფს რითმის შექმნას, გაგების უნარის მდიდარი გამომხატველობითი პოტენციალით. გარკვეულ კონტექსტში, რითმა სჭირდება

ავტორს, რათა შექმნას ემოციური ეფექტი. ეს მისთვის დამატებითი ინფორმაციის მიწოდების გზაა. ენობრივი ჟღერადობა ხელს უწყობს მოსაუბრის მიერ ენის ინტუიტიურ გაგებას, შესაბამისად, ჩნდება კითხვა, არის თუ არა შესაძლებელი, ერთი ენისათვის ნიშანდობლივი ასოციაციები ითარგმნოს სხვა ენებზე, განსხვავებული ენობრივი სისტემების, განსხვავებული მენტალური ფონისა და უნივერსალური წარმოსახვითი ანალოგიების გათვალისწინებით.

ეს სტატია არის ფონეტიკური რითმის ძიების მცდელობა, როგორც კონკრეტული შემთხვევა რითმის სიმბოლიკისა და რითმის ინსტრუმენტირების ორმხრივი ინტერაქციისა. სტატია ადგენს ასევე ლექსის ემოციურ განწყობასა და რითმას შორის კორელაციის ფაქტორს. ნაშრომში განხილულია ასევე ალიტერაციული და ასონანსური რითმის პოტენციალი რობერტ ბერნსის რამდენიმე ლექსის მულტილინგვური თარგმანის მაგალითებზე.

თეორია

თარგმნის ზეგავლენა უდავოა იმ შემთხვევებში, როდესაც ლიტერა-

ტურული კომპოზიციის სისტემური ცვლილებების მრავალკომპონენტური ფაქტორის გათვალისწინებით (სადაც საუბარია სემანტიკური განწყობისა და კონტექსტის მთლიანობაზე), იცვლება ორიგინალი ენის პირველადი მახასიათებლები (მნიშვნელობები). აღსანიშნავია, რომ თანამედროვე ლინგვისტებს შორის „მნიშვნელობის“ კონცეფცია განხილულია საკომუნიკაციო კომპეტენციის მიღმა, თუმცა მიჩნეულია, როგორც საბაზისო კოგნიტური ერთეული, რომელიც აყალიბებს ინდივიდის მსოფლმხედველობას (ლეონტიევი, 2014). ამგვარად, ინდივიდუალური ენობრივი კონტექსტის კულტურული და ეროვნული თავისებურებები შედგენილია სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით. აღნიშნული კონტექსტი არ შემოიფარგლება მხოლოდ კულტურული მგრძობელობით (ტაბუ, სტერეოტიპები და კლიშეები), გათვალისწინებულია ასევე სოციალური მდგომარეობა და ენისათვის დამახასიათებელი ეთნიკური თავისებურებები. ასე რომ, ხელოვნების (პოეზიის) კავშირი ორიგინალ ენასთან არ განიხილება, როგორც მარტივი ინდივიდუალური გამონათქვამების

კრებული, არამედ როგორც კომპლექსური კავშირი ვერბალური და არავერბალური „ქცევებისა“. აღნიშნული კი განაპირობებს ორიგინალი ენისათვის ნიშანდობლივი კომპლექსური შეთანხმებების ეტაპობრივად გადატანას იმ ენაზე, რომელ ენაზეც კეთდება თარგმანი.

როდესაც საქმე ეხება აღქმასა და გაგებას, სხვადასხვა ეთნოსის ენობრივი ცნობიერებაში ვლინდება აშკარა ეროვნული და კულტურული შეუსაბამობები. და ეს, თარგმნის დონეზე, ერთადერთი გამოწვევა არ არის. პოეზიის ენის სტრუქტურის სიღრმისეული ანალიზისას ტინიანოვი (ტინიანოვი, 1924) განასხვავებს ლექსიკური მარაგის მთავარ და არამთავარ ნიშან-თვისებებს. ტინიანოვი აღნიშნავს, რომ ყოველდღიურ კომუნიკაციაში ჩვენ მიერ არჩეული ლექსიკურ ერთეულებზე არსებით გავლენას ახდენს მათი მთავარი ნიშან-თვისებები. მაშინ როცა, პოეზიის ენაში ერთ რომელიმე მთავარს თან მოსდევს შესაბამისი არამთავარი ნიშან-თვისება (ტინიანოვი, 2007, 85). ეს არის პოეტური კომპოზიციის ის ნაკლებად მნიშვნელოვანი ნიშან-თვისებები, რომლებიც ურთიერთქმედებენ ერთმანეთზე შესა-

ფერისი სემანტიკური მნიშვნელობის, ემოციური განწყობისა და ცოცხალი კონტექსტის შესაქმნელად. აღსანიშნავია, რომ ეს ტექსტის უფრო და უფრო დეტალურად თარგმნის დროს ხდება.

ამ კონტექსტის მნიშვნელოვანი გაუგებრობა მდგომარეობს სხვადასხვა საშუალებაში, რომლებიც გამოიყენება ზოგიერთ ენასა და კულტურაში განსხვავებული საგნების აღსაქმელად და განმასხვავებლად. მაგალითად, როგორცაა ფერების დასახელება სამხრეთულ და ევროპულ კულტურებში, სადაც მიზანი (გარე ფაქტორებთან შედარებით) და ვერბალური გამოხატვის საშუალებები ერთმანეთისაგან აცდენილია (ლურია, 1974, გვ. 56). თუმცა, ამ შემთხვევაში, სიტყვების დონეზე კულტურული დეტერმინატების ეკვივალენტების შერჩევის მოთხოვნა თარგმანისათვის ნაკლებად მნიშვნელოვანია, ვიდრე განსხვავებულ კულტურათა ერთიანი მსოფლმხედველობის ეროვნული დეტერმინატების წარმოჩენა (გაჩევი, 2014).

მეთოდი

ზემოთ განხილული ენობრივი რითმის პოტენციალის ინტერკულტუ-

რული და ინტერენობრივი მიმოხილვის მცდელობა მწვავე ინტერესის საგანია (ჟურავლიოვი, 1974, გვ. 28). რამდენადაც პოეზიის ენას ეხება, ეს ნიშნავს, რომ წმინდა მხატვრული ფაქტორების გამოძიება გულისხმობს ფონეტიკური რითმების შერჩევას და ენათწარმოების სხვა კომპონენტებთან მის დაკავშირებას. და ბოლოს, ვიგოცკი აღნიშნავს: „ჩვენ საკუთარი შეგრძნებები სოციალური მიზიდულობის ძალისხმევით გავადნეთ ჩვენში. სოციალური მიზიდულობის ძალა არის ობიექტური მიზეზებისკენ მიმართული, ჩვენგან წამოსული, განსხვავებული და გარეგან ფაქტორებზე მორგებული...“ (იხ. ლეონტიევი, 2014).

პოეზიის ენაში რითმის შერჩევის ყველაზე მარტივი პრინციპია ონომატოპეა, ამ დროს რითმის სიმბოლიკა არის ყველაზე ტიპობრივი ნიშან-თვისება, სადაც სემანტიკური ატიტუდი იწვევს ავტორის მიერ რითმის შემთხვევითობით შერჩევას. აღნიშნული რითმა ასოციაციური რგოლებით უკავშირდება მთლიანი ტექსტის ცალკეულ სემანტიკურ მახასიათებელს და ტექსტის მნიშვნელოვან კომპონენტებს. ამგვარად, როგორც ნიკროშკინა აღნიშნავს,

უნივერსალური რითმის სიმბოლიკის ფენომენი კარგად უნდა იქნეს შესწავლილი, თუ შესატყვის ენებს გააჩნიათ განსხვავებული სტრუქტურა და ამას ცხადად გამოხატავს: „რიტმული ანალოგიების შერჩევამ შესაძლოა გაზარდოს სტრუქტურულად განსხვავებულ ენაზე მოსაუბრეთა ემოციური დამოკიდებულებების არაერთგვაროვნება. ვინაიდან თითოეული მათგანი ფლობს ფონოლოგიური ექსპრესიის ინდივიდუალურ მოდელს...“ (ნიკროშკინა, 2010).

ამ კონკრეტულ შემთხვევაში, რითმის ინსტრუმენტირების ფენომენი განიხილება, როგორც პოეზიის ენის სპეციფიკური მახასიათებელი. რითმის განმეორებადობის გამოყენება, მაგალითად, სიტყვები, რომელთაც აქვთ მსგავსი ჟღერადობა, ლექსთწყობის ტექნიკის ყველაზე ხშირად გამოყენებულ მეთოდად ითვლება. პოლივანოვის თანახმად, რითმათა ასეთი თანრიგები შეიძლება განისაზღვროს, როგორც ინსტრუმენტირების „საგანი“, რომელიც შეთანხმებულია ყველაზე სპეციფიკური სემანტიკური მნიშვნელობის მქონე ლექსიკურ კომპონენტთან (ლეონტიევი, 2014).

ამგვარად, რითმის ინსტრუმენტი-რება წარმოადგენს პოეზიის ენის განუყრელ ნაწილს ლექსის შინაარსთან მისი მჭიდრო კავშირისა და ურთიერთქმედების გამო. როგორც ვაიდლი ამბობს, „პოეზიას, ისევე როგორც ვეზიკულარულ ენას გააჩნია არამხოლოდ ექოსებური რეფლექსია რითმულ ლექსებში, არამედ მათ ახასიათებთ აგრეთვე ვიბრაცია, როგორც აზრის გამომხატველი ჰარმონიული განფენილობა“ (უიდელი, 1995, გვ. 75). მკვლევარი, ამ იდეის განვითარების პარალელურად, გვთავაზობს მაგალითს, თუ ფონემას და მის კომბინაციებს ავიღებთ პოეტური მნიშვნელობისაგან განცალკავებით, მათ არ ექნებათ რაიმე სპეციფიკური მახასიათებელი, იმ შემთხვევაში, თუ ისინი გამოეყოფიან ენობრივ ერთეულებად არსებობის შესაძლებლობას. ამავე დროს, პოეტი, რომელიც სიტყვის რითმას არჩევს ძალიან ფაქიზად, რითმას და სიტყვას ჰარმონიულად აკავშირებს ერთმანეთთან და ტექსტი გადაიქცევა ერთ მთლიან ქსოვილად. ლექსი განიცდის ზღაპრულ ტრანსფორმაციას და სიტყვების მნიშვნელობა გარდაიქმნება რითმად.

განხილვა და შედეგები

წინამდებარე კვლევის შესაბამისად, ერთი ენიდან მეორე ენაზე გადათარგმნას აქვს უნარი, შეინარჩუნოს და განაახლოს ნაწარმოებში გადმოცემული ემოციური განწყობა. ეს მიიღწევა რითმის ინსტრუმენტების საშუალებით. მნიშვნელოვანია გვახსოვდეს პოეზიის თარგმნასთან დაკავშირებით არსებული ცხარე დებატები და განსხვავებული მოსაზრებები: ზოგიერთი რადიკალური შეხედულების მქონე ლინგვისტი მიიჩნევს (მაგ. რ. ფროსტი), რომ შეუძლებელია პოეზიის ადეკვატური თარგმანი. მათი აზრით, თარგმანში იკარგება პირველწყაროს არსი (ოზეროვი, 1986, გვ. 46), ხოლო სხვა შეხედულების თანახმად, პოეზიას მოეპოვება უნივერსალური თვისება. ამ თვისებას ისინი ხსნიან შემდეგით: სხვადასხვა ენის პოეზიაში რეალური სამყარო ასახულია უმთავრესად ერთმანეთის მსგავსი ხერხებით, გამომდინარე იქიდან, რომ დედამიწის ყველა მაცხოვრებელს საერთო მენტალური სისტემა აქვს (ზოგუსლავსკაია, 1996, 215).

შესაბამისად, პოეზიის გამოხატულების მნიშვნელობა უნივერსალურია. აღნიშნულ შეხედულებაზე დაყრდნობით, გავაანალიზებთ რობერტ ბერნსის ლექსების მულტილინგვურ თარგმანს.

ცნობილია, რომ გერმანიკული ჯგუფის ენებისათვის დამახასიათებელია რითმის სიგრძის ალიტერაცია, განსაკუთრებით თანხმოვნის დახშობა. აღნიშნული ენობრივი თვისება ბერნსის პოეზიაში განსაკუთრებით საყურადღებოა: პოეტი ხშირად იყენებს ბგერების (h) და (s) გამეორებას ლექსის არსის შესაბამისად. მაგალითად, პატარა ოთხტაეპიან ლექსში (კატრენი) “My Heart’s in the Highlands”, თანხმოვანი “th” მეორდება: “Farewell to the Highlands, farewell to the North, / The birth-place of Valour, the country of Worth<...>.” ლექსის ფრაგმენტი გადმოგვცემს დარდს და მწუხარებას იმის გამო, რისი აღორძინებაც განახლებაც აღარ შეიძლება და რითმა გამოსახულია ტოლფერდა სამკუთხედის ფორმულით: “birth” სამკუთხედის წვეროში, ხოლო “North” – “Worth,” როგორც პოეტის მშობლიური ქვეყნის სიმბოლო, სამკუთხედის გვერდითა წვეროებში.

აღნიშნული ლექსის უკრაინულენოვან თარგმანში, მ. ლუკაში განსაკუთრებით ამახვილებს ყურადღებას არა ლექსის ფონეტიკურ, არამედ ლექსის ლექსიკო-სემანტიკურ კომპონენტზე: “Будь здорова, верховино, любий рідний край, / Честі й слави батьківщино, вольності розмай!” ამკარაა, რომ მთარგმნელი განზრახ არ ანიჭებს უპირატესობას რითმის განმეორებადობას. ამ შემთხვევაში, რითმა უფრო მელოდიური გამოვიდოდა უკრაინული ენისათვის, თუმცა იარსებებდა საშიშროება, შინაწარსობრივად არაფრის-მთქმელი ასოციაციები შექმნილიყო.

მ. ლუკაშისაგან განსხვავებით, ლექსის რუსულენოვან თარგმანში, ს. მარშაკი მიმართავს განსხვავებულ რითმას. გამომდინარე ფონეტიკური შეუსაბამობისა, რუსულენოვან თარგმანში გამოყენებულია შესატყვისი ბგერა(c). ამ შემთხვევაში ყურადღება გამახვილებულია ძირითად სიტყვებზე და შექმნილია საერთო პოეტური გარემო: “Прощай, моя родина! Север, прощай, – / Отчествославыидоблестикрай<...>.”

ადვილი შესამჩნევია, რომ თარგმანის ამ ვარიანტში ბერნსის სამკუთხა ერთიანობის ჰარმონია დარღვეულია და

თარგმანი ორიგინალისაგან განსხვავებულია. თარგმანში შეცვლილია ელემენტური და ლირიული განწყობაც პრეტენზიულად ამაღლებული ხასიათის ჩაცვლებით.

ბერნსის ფონეტიკური პალიტრა ფართო და მრავალფეროვანია. ეს მთარგმნელს აშკარა გამოწვევის წინაშე აყენებს. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ გერმანიკული ენებისათვის დამახასიათებელი, ზემოთ აღნიშნული თვისება ქმნის გაცილებით კარგ პირობებს წარმატებული კვლევისათვის, ვიდრე სლავურ ენებზე თარგმანის შემთხვევები. ამის კარგი მაგალითია თამხმოვანი (1)-ს ალიტერაცია ლექსში “A Red, Red Rose”:
“O my *Luve's*like a red, red rose, / That's *wly* sprung in June: / O my *Luve's*like the *melodie*, / That's *sweetly* play'd in tune <...> “, რომელიც აღიქმება, როგორც ნათელი და ფართო, ვინაიდან რითმის განმეორებადობა წარმოაჩენს ლირიკული გმირის განწყობას, რომელიც შეყვარებულია და აღვსილია იმედებით. სიყვარული მას აბედნიერებს. თუ გადავხედავთ თარგმანების ნიმუშებს, შევამჩნევთ, რომ თანხმოვანი (1)-ს ალიტერაცია, რომელიც გვხვდება მთელ ლექსში (“will”, “still”, “till”, “weel” და

სხვ.), აღნიშნული ოთხტაქტიანი ფრაგმენტის მიხედვით, ყველაზე წარმატებულად თარგმნილია გერმანულ ვარიანტში ა. ფონ ვინთერფელდის მიერ: “Mein *Lieb* ist *gleich* der *Melodie*, / Die *süß* im *Lied* *erklang*<...>.”

ინდოევროპულ ენებში რითმის მუდმივობაზე მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს მთარგმნელის მიერ ლექსიკური ერთეულების შერჩევა. ლექსიკური ერთეულები გავლენას ახდენენ რითმის ინვერსიულ ბუნებაზეც. მაგალითად, შეიძლება შეგვხვდეს ასონანსური რითმა ალიტერაციული ნაცვლად და პირიქით. ეს კარგად ჩანს შემდეგ ფრაგმენტში ლექსიდან “Ye Banks and Braes”: “Ye *banks* and *braes* o' *bonie*Doon, / How can ye *bloom* sae fresh and fair? / How can ye chant, ye little *birds* < ... >.” ალიტერაციული რითმა (b) ჟღერს, როგორც მძიმე ზარის ხმა, ისე მკვეთრად, რომ ვეღარავინ ამჩნევს ლირიკული გმირის განცდებს. თუმცა ე. ფელდმანის ნათარგმნ ვარიანტში გადმოცემული ემოციური განწყობა გამოწვეულია ასონანსური რითმის საშუალებით (o). ჩვენი აზრით, ეს არ არის ორიგინალის საწინააღმდეგო თარგმანი, თუმცა ემოციური სიღრმე უფრო ამ

შემთხვევაშია ასახული: “<...>Хожу одна, совсем одна, / Полна печальных дум <...>.” ტკივილით გამოწვეული ტანჯვა და ჩუმი გოდება გამოხატულია ფონ ვინთერფელდის გერმანულენოვან თარგმანში: ((u)-ს და(o)-ს ასონანსი): “Ihr Ufer und du Thal des Doon, / Wie könnt ihr blüh’n so frisch und schön თუმცა, ჩვენი აზრით, ბოლო განხილულ ტაეპებს შორის, ყველაზე უფრო წარმატებული უკრაინულენოვანი თარგმანია: “<...>Ходжу я, повен журних дум, - / Хоч як пишються квітки, / Хоч як виспівують пташки <...>.” ლუკაში იყენებს “x”/ “к”- ს ალიტერაციულ რითმას, თითქოსდა გმირი, მწუხარებით აღსავსე, მკვეთრად და მძიმედ სუნთქავდეს.

დასკვნა

და ბოლოს, უნდა აღვნიშნოთ, რომ სხვადასხვა ენაში, რითმის სემანტიკაზე ზემოქმედებს განსხვავებული ეთნოსისა

და კულტურის ფაქტორი. შემდგომ კი ხდება აღნიშნული ფაქტორის უნიფიცირება, რაც მომავალში განსაზღვრავს პოეზიის ტრანსცენდენტულ ხასიათს.

პოეზიას აქვს შესაძებლობა, ჩამოაყალიბოს განსხვავებული კულტურებისათვის საერთო მხატვრული გაგებადობის უნარი. სწორედ ამიტომ აქვს თარგმნას აზრი. თარგმნის დროს ყველაზე დიდი მნიშვნელობა ენიჭება მთარგმნელის ოსტატობას. ვინაიდან მას აქვს უნარი, შეუსაბამოს ფონეტიკური გამოხატულება უნივერსალური რითმის სიმბოლიკას, ისე რომ, გამორიცხოს სემანტიკური განსხვავებულობა.

უდავოა, რომ მულტილინგვური თარგმნის გამოცდილება გვამღევეს ორიგინალის სრულად გაგების საშუალებას, ისევე როგორც მას აქვს უნარი, გადმოსცეს პოეზიის სათქმელი შეუცვლელად.

გამოყენებული ლიტერატურა

- ბოგუსლავსკაია, 1996 - Boguslavskaya, G. P. Linguistic View of the World and National Culture (Text) / G. P. Boguslavskaya // Language and Culture: 4th Intern. Conf. – P. 2. – K., 1996. – P. 214–216.
- გაჩევი, 2014 - Gachev, G. D. National Images of the World (Electronic source) / G. D. Gachev: (Access mode): available at: <http://onlinelibrary.at.ua>
- გოლუბი, 1993 - Golub, D. E. Rozental Secrets of Good Speech (Text) / I. B. Golub, D. E. Rozental. – M. : International relations, 1993. – P. 83.
- ლეონტიევი, 2014 - Leontiev, A. A. Fundamental Psycholinguistics (Electronic source) / A. A. Leontiev: (Access mode): available at: <http://www.klex.ru>
- ლურია, 1974 - Luria, A. R. The Historical Development of Cognitive Processes (Text) / A. R. Luria. – M., 1974. – P. 56-57.
- ნიკროშკინა, 2010 - Nikroshkina, S. V. Experimental Investigation of the Universal Sound Symbolism as exemplified in differently structured Languages (Electronic source) / Syn. of thes. – Biysk, 2010. - (Access mode): available at: <http://disser.cat>
- ოზეროვი, 1986 - Ozerov, L. A. Double Portrait (About Soviet School of Poetic Translation) (Text) / L. A. Ozerov. – M., 1986. – P. 46.
- ჟურავლიოვი, 1974 - Zhuravlev, A. P. Phonetic Meaning (Text) / A. P. Zhuravlev. – L., 1974. – P. 28.
- სომოვა, 1991 - Somova, E. G. Sound Symbolism as a Phonostylistic Means in a Poetic Text (Text) / E. G. Somova. – Saint Petersburg, 1991. – P.3-13.
- ტინიანოვი, 2007 - Tynianov, Y. N. Problem of Versicular Language (Text) / Y. N. Tynianov. – Moscow: «KomKniga», 2007. – P. 85.
- უიდელი, 1995 - Weidle, W. Embryology of Poetry, (Text) / W. Weidle. – M., 1995. - P.73-83.